იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნომერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

ხუთშაბათი 31 ივლისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი" თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 118 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 118

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

— „იმერეთი" —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

გაზეთის ფასი:	
ერთი წლით . . .	7 მანეთი.
ნახევარი წლით . . .	4 მანეთი.
ერთი თვით . . .	3 აბაზი.
და ცალკე ნომრის . . .	1 შაური.

წლიური დასაკვეთიეთაზ ისე ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. $1/2$ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ. **ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція ,,ИМЕРЕТИ" Гаврiилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

გულ დათუთქულნი მშობლები სოლომონ პირფილის ძე ოსიძე და ნატალია ლეონტის ასული ოსიძისა შვილებით: ალექსანდრა, ალექსანდრე და ეკატერინეთურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 3 აგვისტოს ამა 1914 წ. 11 საათზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ფოთის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაზე (ნახუტურო) უდროოდ ტრაღიკულათ დაკარგულის დაუვიწყარი ქალიშვილის

ქსენიას

სულის მოსახსენებლად.

ქუთაისი
პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიოზის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დილით.

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნევრების.

ბ. ა. **მირაქიძე**—ყელის, ცხვირის, ყურისა.	1—2
გ. ს. **ნადირაძე**.—შინაგანი და ბავშის	10—11
ა. ა. **რელიგიოზი**—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე	11—2
მ. დ. **ბეთანოვი**.—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
ვ. ა. **ჭოდოშვილი**—საბებ., ქალთა და შინაგ.	$12\frac{1}{2}$—2მ

საღამოთ.

გ. ლ. **ქორქაშვილი**—თვალის ხუთშაბათობით	$4\frac{1}{2}$—$5\frac{1}{2}$
ვ. ა. **ჭოდოშვილი**—საბებიო, ქალთა და შინაგ.	$5\frac{1}{2}$—6

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოდოშვილი

ექიმის იკ. ზოკერიას

საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

ექიმი ა. **ტყეშელაშვილი** ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, დ სიფილისისა) იკვლევს ვასსერმანის მეთოდით სისხლს. დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

ექიმი ი. ა. **ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

ექიმმა გ. **ალშიბაიამ** საავარაკოთ გამგზავრების გამო შესწყვიტა ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდე.

გ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი ვ. ი. **კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმმა ი. **ჩარექოვმა** შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

ექიმი ა. მ. **ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის**, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

ექიმი მ. დ. **ბეთანოვი** იღებს კანისა, **ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

მოწოდება
ქუთაისის ქალაქ. მოურავისა
მოქალაქენო!

რადგან დღეს სწარმოებს საშინელი, უმაგალითო ომი, თვითოეული თქვენგანი ზნეობრივად ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ ომის საშინელების შემსუბუქებას. ომით გამოწვეული საშინელებათაგან ყველაზე უფრო შემზარავია შიმშილი. ჩემგან შეკრებილი ცნობები, სამწუხაროდ, ამტკიცებენ, რომ ქუთაისის ზოგიერთმა მოვაჭრეებმა, ისარგებლეს რა შავბნელ ომიანობის დროით, ხელოვნურად გააძვირეს ხალხისთვის აუცილებელი სანოვაგე: პური, ხორცი, შაქარი, ნავთი და სხ. ამ დროს ამგვარი მოქმედება შეუწყნარებელია, სამარცხვინოა, ნუ დაივიწყებენ სანოვაგით მოვაჭრენი, რომ ისინიც მოქალაქეთა სახელს ატარებენ და ამისთვის მოვალე არის თავის ქალაქის და ქვეყნის წინაშე არ დაამშიონ ღარიბ-ღატაკი მცხოვრებლები, არ დაამშიონ ღვთის ანაბარად მიტოვებული ცოლშვილი ომში გაწვეულ ჯარის-კაცებისა. შიმშს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ხალხისთვის საჭირო სანოვაგის სიმცირე დროებით მოვლენას შეადგენს. ბ. გუბერნატორისა და ქალაქის თვით მართველობისაგან უკვე მიღებულია საჭირო ზომები, რომ რკინის გზამ სანოვაგე დაჩქარებით მოაწოდოს ჩვენს ქალაქს.

სანოვაგით დაინტერესებულთ ვსთხოვ მიმართონ განსაკუთრებულს კომისიას, რომელიც ჩემის თავჯდომარეობით ირკვევს სანოვაგის საკითხებს.

ქალაქის მოურავი **ილ. ჩიქოვანი.**

ქუთაისის ქალაქის გამგეობა მოუწოდებს

ცოლებს, შვილებს, მამებს, დედებს და სხვა ახლობელ ნათესავებს, რომელთაც არჩენდენ ეხლახან,

მობილიზაციის გამო

ომში გაწვეულნი ჯარის კაცები, გამოცხადდენ გამგეობის დარბაზში, **1 აგვისტოს 1914 წელსა.** ოჯახის შემადგენლობის და ნივთიერ მდგომარეობის გამოსარკვევად; განზრახულია მიეცეთ ამ ოჯახებს შემწეობა და მფარველობა ომიანობის დროს.

სრულიად ევროპის ომი
დეპეშები

პეტ. დეპ. სააგენტოსაგან. 28 ივლისი.

პარიზი. მიწათმოქმედების სამინისტროში შემოდის ბევრი წინადადება იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმაროს ჯარში გაწვეულთა ყანების მოსავლის მოგროვების საქმეში. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამუშაო ხელის სიმცირე სრულებით არ იქნება.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ განიხილა გარეშე საქმეთა სამინისტროს წინადადება იმ ზომების გამომუშავების შესახებ, რომელიც შეეხება რუსეთის იმ ქვეშევრდომთა დახმარებას, რომელნიც ამ ომიანობის დროს საზღვარგარეთ მოყვენ. დახმარება გაეწევა ფულის სესხათ მიცემით, რამდენიც საჭირო იქნება სამშობლოში დასაბრუნებლათ, აგრეთვე მიეცემათ საშუალება გადაეგზავნოს საზღვარგარეთ ფული რუსეთის ფულის გადახურდავების შემწეობით. ეს აპერაციები დაკისრებული ექნება რუსეთის დიპლომატიურ დაწესებულებებს სტოკჰოლმსა, კოპენჰაგენსა, გაავასა, ბრიუსელსა, პარიზსა, ლონდონსა, ბერნსა, რომსა, ლისაბონსა და კონსტანტინეპოლში. ავსტრიისა და გერმანიის საზღვრებში კი ესპანიის დიპლომატიურ დაწესებულებებს. გადაგზავნა მოხდება გარეშე სამინისტროს საშუალებით. გადასაგზავნი ფულის რაოდენობა განსაზღვრულია 300 მანეთით. ვინაიდან რუსეთის ქვეშევრდომთა უმრავლესობა დაკავებულია საზღვარგარეთის კურორტებში მინისტრთა საბჭომ დაავალა სავაჭრო მინისტრს წარუდგინოს მოსაზრებები რუსის კურორტების გასავითარებლათ, რათა საზღვარგარეთის კურორტები საჭირო აღარ იყოს ხოლმე რუს ქვეშევრდომთათვის.

ბრიუსელი. მეფემ მიიღო ხელმწიფისაგან დეპეში, რომლითაც მისი უდიდებულესობა გამოხატავს თავის აღტაცებას ბელგიის ჯარის ძლევამოსილობის გამო.

პარიზი. ბერლინიდან ბრიუსელში მოსული მგზავრები გადმოგვცემენ იმ აღელვების შესახებ, რომლითაც მოცულია ბერლინი და რომელიც იხატება იმპერატორისა და კრონპრინცის წინააღმდეგ მიმართულ მანიფესტაციებში.

ინტერლენდენი. შტუტგარტში მყოფმა საფრანგეთის ელჩმა არმეზმა გარეშე საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ რამდენიმე დღე იგი მოკლებულ იყო საშუალებას ესარგებლა ფოშტა-ტელეგრაფით. გერმანელებმა ძალა დაატანეს უეცრათ დაეტოვებია შტუტგარტი. ორმა აგენტმა იგი მიაცილა სადგურზე, ჩასვეს მეოთხე კლასის მატარებელში, გზაზე გერმანელების აფიცერი ჯაშუშობას აბრალებდა, რისთვისაც მას სცემეს. იგი პოლიციი აგენტმა გადაარჩინა. საფრანგეთის და ნარჩენ დიპლომატიურ აგენტებს უფრო სასტიკათ მოეპყრენ. ბავარიის ჯარისკაცებმა მას კონდახებით სცემეს ბრაზილიის შტატების ყოფილ პრეზიდენტს და მის მეუღლეს. წაართვეს მათ ყველა ძვირფასი ნივთი და ცოცხალ მკვდარი გადააგდეს შვეიცარიის საზღვარზე.

პეტერბურგი. ფოშტა-ტელეგრაფის უმთავრესი სამართველო აცხადებს, რომ ტელეგრაფის ან სხვა საფოშტო გასაგზავნების ადრესებზე მომქმედი ჯარისა აღნუსხული უნდა იყოს მხოლოდ სახელი, მამის სახელი და გვარი ადრესატისა და და სახელწოდება იმ ჯარის ნაწილისა ან დაწესებულებისა, სადაც მსახურობს. ჯარის ნაწილისა და „სამხედრო დაწესებულებათა ბინის ჩვენება ადრესებზე აკრძალულია. წერილები და ტელეგრამები ბინის ჩვენებით არ გაიგზავნებიან. უბრალო წერილები, რომლის წონაც $2\frac{1}{3}$ ლოტა, ან ფოშტის კარტოჩკები ჯარის მოხელეთა და დაწესებულებათა სახელზე უფასოთ ზაიგზავნება.

სახელმწიფო სათათბიროს სხდომის დასასრული.

სათათბირომ ერთხმათ მიიღო ფორმულა: მოისმინა რა მთავრობის განმარტება და კმაყოფილების გრძნობით დარწმუნდა რა, რომ მთავრობისაგან ყოველგვარი საშუალება იყო ნახმარი მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ, როგორც ამას მოითხოვდა რუსეთის, როგორც ძლიერი სახელმწიფოს, ღირსება, სათათბირო გამოსთქვამს თავის შეურყეველ რწმენას იმის შესახებ, რომ ამ განსაცდელის ჟამს რუსეთის ყველა შემადგენელ ერს, სამშობლოს სიყვარულის ერთი გრძნობით შეერთებულს, ღრმათ სწამს სიმართლე თავისი საქმისა და, თავისი მეფის ბრძანებისამებრ, მზათ არის აღსდგეს თავისი სამშობლოს ღირსებისა და სახელის დასაცავათ, მას ღრმათ სწამს რუსეთის ბრწყინვალე მომავალი და არ გადადის მორიგი კითხვების გასარჩევათ, მზათაა ხელი გაუწოდოს საერთო საქმეს სამშობლოის დაცვისას და უზრუნველყოს სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახები; სათათბირო თავის ძმურ სალამს უძღვნის რუსეთის მფარველს ძლევამოსილ ჯარს, რომელიც გმირულათ იბრძვის თავის მოვალეობის ასასრულებლათ. დასკვნითი სიტყვების კითხვის დროს ზალას მოიცავს ვაშას ძახილი და ჰიმნის გალობა. ერთხმათ, დაუყონებლივ, კომისიაში გადაუცემლათ, მიიღეს, მთავრობის კანონპროექტი, რომელიც, ამ ომიანობის დროს, ომის საწარმოებლათ ფულის ხმარებასა და აგრეთვე ხაზინის რესურსების გადიდების ზომებს შეეხება.

აგრეთვე ერთხმათ მიიღეს შიდლოვსკის წინადადება, რათა 25 ივლისის 1912 წლის კანონით შემუშავებულ ზომების

დასამატებლათ „ჯარში გაწვეულ ოჯახების“ დასახმარებლათ, დახმარებაში მონაწილეობა მიიღონ ქალაქის სამართველოებმა, საზოგადოებრივმა ძალებმა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად. თავჯდომარე წინადადებას აძლევს სათათბიროს მოისმინოს უმაღლესი ბრძანება სხდომის შეწყვეტის შესახებ: სახელმწიფოს ძირითადი კანონების 99-ე მუხლის ძალით სახელმწიფო სათათბიროს სხდომა შეწყვეტილ იქნას 26 ამა ივლისიდან და სხდომის განახლების ვადათ დანიშნული იყოს არა უგვიანეს პირველი თებერვლისა 1915 წლისა, განსაკუთრებული მდგომარეობის დამოკიდებულებით. უმართებულესი სენატი არ დააყოვნებს მოახდინოს შესაფერი განკარგულება. დედანზე **მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის** საკუთარი ხელით აწერია **ნიკოლოზი**.

პეტერგოფი, 24 ივლისი 1914 წ. „ხელმწიფე იმპერატორს“ ვაშა—აცხადებს თავჯდომარე. ხმები: ვაშა და ჰიმნის სიმღერა მთელ დარბაზს მოიცავს. სხდომა იხურება. სათათბიროს წევრები აცილებენ როძიანკოს ხანგრძლივი ტაშისცემით.

ლონდონი. ბერლინიდან ოფიციალური დეპეშით იტყობინებიან, რომ გერმანიის ჯარმა ღამით აიღო ლიეჟი. ბელგიელების ზარალი დიდია. 4000 ბელგიელი ტყვეთ წაიყვანეს. გადაყავთ გერმანიაში. აქვეა ნაჩვენები, ვინაიდან გერმანელები არაფერს ამბობენ ფორტების აღებაზე, ამიტომ ბელგიის ცნობა იმედს იძლევა, რომ ლიეჟის ფორტები ჯერ კიდევ გამაგრებულია.

პარიზი. ყალბი ცნობები, რომელსაც ავრცელებენ გერმანელები, შეეხება არა მარტო ბელგიელების აპერაციებს, არამედ საფრანგეთისა და რუსეთის აპერაციებსაც. ფურნიეს სააგენტომ შენიშვნებით გამოაქვეყნა ბრიუსელიდან მოსული დეპეში, რომლითაც იტყობინებიან, რომ ნიუიორკში მოსულია ცნობა გერმანელების მიერ ვარშავის დაჭერის შესახებ. თავდაჭერილობა საფრანგეთის პრესისა გამოიხატა იმაში, რომ არცერთმა გაზეთმა არ გამოაცხადა გავასის სააგენტოსაგან ყალბათ შედგენილი დეპეში.

პარიზი. იუწყებიან, რომ გერმანელების მიერ ლიეჟის აღების ცნობა ყალბია. გერმანელებმა უკან დაიხიეს დიდი ზარალით.

ლონდონი. რომიდან ცნობა მოვიდა, რომ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი აახენს მოვიდა. ბრიუსელიდან ოფიციალური წყაროდან იუწყებიან, რომ ლიეჟი გერმანელებით გარშემორტყმულია, მაგრამ ყველა ფორტი ბელგიელების ხელშია. საადმირალტეისტვო იუწყება, რომ გუშინ გერმანიის წყალქვეშ მავალმა გემებმა ინგლისის ესკადრის კრეისერებზე უშედეგო იერიში მიიტანესო. ერთი წყალქვეშ მავალი გემი დაიღუპა.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ბრიუსელიდან აცნობებენ რომ მომქმედი ჯარის უმთავრესმა სამხედრო სამართველომ განაცხადა: შაბათიდან გერმანიის ჯარის მდგომარეობა ნაკლებათ შეიცვალა; გერმანიის ჯარის წინ წასულმა რაზმებმა უკან დაიხიეს ფრანგთა დაუძლეველი იერიშის მიტანის შემდეგ; როგორც ამბობენ, ფრანგები და ბელგიელები ერთსა და იმავე დროს დაესხენ მტერს წინასწარ განზრახული გეგმით.

თეჰერანი. სპარსეთი საშინელ უფულობას განიცდის. უკვე გავიდა ერთი კვირის ვადა, რომელიც მთავრობას ქონდა დანიშნული ჟანდარმერიის ვალის გადასახდელათ. მაგრამ უმთავრესი ინსტრუქტორი, თანახმათ სტოკჰოლმიდან მოსული ინსტრუქციისა, ჟანდარმერიას არ ითხოვს, რადგან საერთო ომიანობისა გამო, ეშინია რაიმე არეულობა არ მოხდესო. იმედი აქვთ, სპარსეთი მალე შეუდგება საშუალების გამოძებნას.

ბრიუსელი. სუარი იტყობინება, რომ გერმანელებმა, ისარგებლეს რა ფორტებს შუა მდებარე მანძილის გაუმაგრებლობით, ხუთშაბათს, საღამოთი, შევიდენ ლიეჟში, მათთან ერთად შევიდა ქალაქში გენერალ ფონემლიხის შტაბი. გერმანელებმა გუბერნატორს წინადადება მისცეს, ჩააბაროს ქალაქი და ფორტები, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქს ყუმბარების დაშენითა და განადგურებით ემუქრება. გუბერნატორი ქალაქიდან გავიდა. ლიეჟის 17 საპატიო მოქალაქემ ფონემლიხი ინახულა, იგინი მძევლათ დაიჭირეს.

ლონდონი. ყველა გაზეთი იტყობინება, რომ გერმანელებმა შესძლეს ქალაქ ლიეჟში შესვლა, თუმცა ფორტები ჯერ კიდევ ბელგიელების ხელშია. ფიქრობენ, ბელგიელები წინასწარ ააფეთქებენ ფორტებს, ვიდრე მას მტერს დაუთმობდენ.

პეტერბურგი. სინოდმა დაავალა ეპარქიის ეპისკოპოსებს დაუყოვნებლივ შესდგეს მრევლისაგან სამზრუნველო კომიტეტები და საბჭოები, რომელნიც იზრუნებენ ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ შემოწირულობის შეგროვებას და მათი მოქმედების შესახებ ყოველთვიურათ ეცნობოს სინოდს. ქალთა პატრიოტული საზოგადოების თავჯდომარის ამხანაგმა დედოფლისაგან შემდეგი შინაარსის დეპეში მიიღო: გულითად გმადლობთ თქვენ და წევრებს ჩემი პატრიოტული საზოგადოებისას ჩვენდამი და სამშობლოსადმი გამოცხადებულ გრძნობებისათვის. ვიმედოვნებ, რომ დღევანდელ გაჭირვების ჟამს, პატრიოტული საზოგადოება მთელი თავისი არსებით გამოეხმაურება ჩვენს მოწოდებას და ჩვენთან ერთად ერთგულათ ვიმუშავებთ ჩვენის სახელოვანი ჯარის დასახმარებლათ. დაგლოცოსმცა ღმერთმა. **ალექსანდრა**.

პეტერბურგი. სამხედრო საკრებულოს მთავარი გამგეობა მოუწოდებს სამსახურს გარეშე მყოფს იმ აფიცრებს, რომელთაც განსაკუთრებული მოწვევის ბარათი არ მიუღიათ, თვითონვე გამოცხადდენ თავ-თავის გუბერნიების სამხედრო საკრებულოში, ან შეატყობინონ წერილობით თავისი მისამართი.

პეტერბურგი. კაცთმოყვარე საზოგადოების საბჭომ დაადგინა მოაწყოს შეწირულობის შეკრება დაჭრილ მხედართა სასარგებლოთ, მოაწყოს ჯარში გაწვეულ მეომართა ოჯახების დახმარება; გამონახოს შენობა ომში გაწვეულთა ოჯახების დასაბინავებლათ და დახმარების გაღების დროს უპირატესობა იმათ მისცეს. წინადადება მისცეს საზოგადოების ყველა დაწესებულებას, ბინა მისცენ დაჭრილსა და ავათმყოფ ჯარის კაცებს.

ნიში. სკუპშჩინამ ომის საჭიროებისათვის 90 მილიონის არა ჩვეულებრივი კრედიტი საბოლოოთ მიიღო.

ბარი. 27 ივლისს ავსტრო-უნგრეთის ორმა სამხედრო გემმა ქალაქ ანტივარიას 50 ჯერ ესროლა ზარბაზანი; დააზიანა და დაანგრია უმავთულო ტელეგრაფისა და ელექტრონის სადგურები. ქალაქიდან თოფის სროლით უპასუხეს, მაშინ ავსტრიის გემებმა გამართეს ძლიერი სროლა. ესროდენ როგორც ქალაქს, ისე მის მიდამოს. მრავალი სახლი დაანგრიეს. ერთი კრეისერთაგანი შევიდა თვით სადგურში და შიგნიდან დაიწყო სროლა. დაანგრია რა საწყობები და ნავსადგური, კატაროსკენ გაემგზავრა.

ლონდონი. იტყობინებიან, რომ ფრანგებმა კოლმარი დაიჭირესო.

ბელგრადი. 28 ივლისს, დილით, მტერმა შუა ქალაქს საშინელი სროლა აუტეხა, ბევრი სახლი დაზიანდა. დაიჭრა რამდენიმე კაცი.

ვილნო. აქით გაატარეს 6 ვაგონი გერმანელ ტყვე სალდათებით სავსე.

პეტერბურგი. საგენერალო შტაბი იუწყება, რომ ავსტრიის ოცდამეცამეტე სათადარიგო ქვეითა ჯარისა და ულანის მეცამეტე პოლკები სოფ. ზოლოციდან რომელიც იმყოფება რაზვილვოს სამხრეთით, განდევნეს. ბორშთან სრულიად ასჩეხეს ავსტრიის მეხუთმეტე ქვეითა პოლკის წინა რაზმი, დანარჩენი ნაწილი ჯარისა კი უგზო-უკვლოთ გაიფანტა. ავსტრიის მეთორმეტე ულანის პოლკის ნახევარ ესკადრაზე, რომელმაც გადმოლახა ჩვენი საზღვრები ვოლოჩინსკთან, იერიში მივიტანეთ, თექვსმეტი მოუკალით და დავატყვევეთ, მათ შორის სამი აფიცერია. მდინარე დნესტრის გაღმა იერიში მივიტანეთ ავსტრიის ულანთა პოლკზე. ბრძოლის ველზე დასტოვეს ათი. დიდი ბრძოლა რუსეთ-ავსტრიის საზღვარზე არ მომხდარა, მაგრამ, ჩვენ პატარა გამარჯვების გამო, ავსტრიელები საჩქაროთ სცლიან რადზივილოვს.

პარიზი. ავსტრო-უნგრეთის ელჩი 28 ივლისს პარიზიდან გავიდა.

ლონდონი. პარლამენტის სხდომები შესწყდა 17 ივლისამდი. დატუსაღებული სუფრაჟისტები გაათავისუფლეს. სუფრაჟისტების კავშირი აწყობს ქალებისა და ბავშვების დამხმარე ორგანიზაციას. ოსტენდში გერმანიის კაპიტანი ერხარდი დაიჭირეს, როგორც ჯაშუში. მას თან აღმოაჩნდა თავისი მთავრობის დეპეში და გერმანიის გენერალურ შტაბთან მიწერ-მოწერის შიფრი.

პარიზი. ბოლფორიდან იუწყებიან, რომ, რადგანაც გერმანელებმა სრულიად უმიზეზოთ დახვრიტეს გერმანიაში საფრანგეთის მოქალაქენი, ძველი მონტრედან გერმანიის ქვეშევრდომი შვიდი ნოტაბლი მძევლათ წაიყვანეს.

სოფია. როდოსლავოვმა კრებაზე განაცხადა, რომ ბოლგარიას გადაწყვეტილი აქვს დაიცვას ნეიტრალიტეტი, მაგრამ, თუ საზღვრები გადალახეს, მთავრობა მზათ არის წინ მიეგებოს ყოველივე შემთხვევას. კრებამ დაავალა მთავრობას შემოიღოს საალყო წესები იმ დრომდი, ვიდრე ეს საჭირო იქნება. მთავრობამ 50 მილიონის გადადების შესახებ კანონპროექტი შეიტანა, თუ ვინიცობაა მობილიზაცია მოხდა და სთხოვა ოსმალეთს აღადგინოს რკინის გზით მიმოსვლა, რომელიც შესწყდა, ოსმალეთის მობილიზაციის გამო. სთხოვს აგრეთვე, ბულგარეთის საზღვრებიდან ჯარი გაიყვანოს.

ბინდი. ავსტრო-უნგრეთის სამხედრო იახტა ტავრუს, რომელიც შევიდა პორტში, მცირე დაზიანების გამო, ღამით გამოვიდა ზღვაში.

ლონდონი. პრინცი უელსკი წავიდა ბრენტვუდში, სადაც უეუერთდება თავის პოლკს.

საკანონმდებლო დაწესებულების წევრების უმაღლესმა აუდიენციამ და დაწვრილებით ცნობებმა სახელმწიფო დუმის ისტორიულ სხდომაზე, სადაც ერთსულოვნათ მოქმედებდა ყველა ფრაქცია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე გამოჩენილმა საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა აცნობეს პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტს, რომ ინგლისში ელოდენ ამ ძლიერ ერთსულოვნებას და ხსნიან მას, როგორც ლოღიკურ შედეგს გერმანიის ბარბაროსულ თავდასხმისას. ინგლისელები, როგორც ბუნებით თავდაკავებულები, არა ტრაბახა ხალხი, დამშვიდებით და სერიოზულათ უყურებენ თანამედროვე მოვლენებს, მტკიცეთ გადასწყვიტეს ბრწყინვალეთ გაიმარჯონ. მათ იმედი აქვთ თავიანთი მჭიდროთ შეკავშირებისა, მათი ახალშენების მედგარი დახმარებისა, რუსეთისა და საფრანგეთის მოკავშირეობის და იმისა, რომ „სამთა კავშირი“ შესძლებს დაამყაროს საერთაშორისო თანასწორობა, რომელსაც ვერ დაანგრევს კერძო ბრძანებელის ნება.

ტიანცზინიდან გვატყობინებენ, რომ დელიმეილში ნემცებმა დახვრიტეს სამი იაპონელი, რომლებიც ფორტცინდაის ფოტოგრაფიულ სურათს იღებდენ.

ბრიუსელიდან გვატყობინებენ, რომ ნემცები 400 მეტრის სიგრძეზე აშენებენ ხის რკინის გზას, დიდ სამხედრო პლატფორმას საარტილერიო ცხენების გადასაყვან-გადმოსაყვანათ.

ნემცები ეშნალცეტით ფრანგების ტერიტორიისაკენ მიიწევიან, სჭრიან გზა და გზა ხეებს, თხრიან ტრანშეებს და ანადგურებენ სოფლებს.

ვოლფის სააგენტო ბერლინიდან ატყობინებს კოპენჰაგენში, რომ დებერინიცაში რუს დაჭერილ მოხელეთა რიცხვში იმყოფება სენატორი ჩაპლინსკი.

პარიზი. ანტივარიის ყუმბარების დაშენას პოლიტიკურ სფეროებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ და განიხილვენ როგორც სერიოზულ დარღვევას იტალიის პოლიტიკურ ინტერესებისას და აგრეთვე მასზე თავდასხმას.

„ეხო. დე-პარი“ სწერს: „ანტივარიის ყუმბარების დაშენა იმის დამმტკიცებულია, რომ ავსტრია ანგარიშს არ უწევს იტალიის უკმაყოფილებას“.

„პტი პარიზენ“ ამ ფაქტს განიხილავს, როგორც სერიოზულ უკმაყოფილებას ავსტრო-უნგრეთის და იტალიის შორის.

„ფიგაროში“ განატო სწერს: „თუ იტალია ყურადღებას არ მიაქცევს ავსტრიის საქციელს, უკანასკნელის გამარჯვების შემდეგ ის შეიქნება პირველი მისი მსხვერპლი, რადგანაც ავსტრია მოითხოვს უპირატესობას ანდრიატის ზღვაზე.

კოპენჰაგენი. რადგანაც ლიეჟიდან ერთიმეორის მოწინააღმდეგე ცნობები მოდიოდა, ნატონალდინედე დეპეშით შეეკითხა ბელგიის მინისტრს ვანდერველდის, რომელმაც უპასუხა ბრიუსელიდან, რომ ლიეჟის სიმაგრეებს ჯერ-ჯერობით არაუშავს რაო.

ომი და ქართველი თავადაზნაურობა.

თფილისის გუბერნიის მარშალმა თავადმა კ. აფხაზმა ხელმწიფე იმპერატორს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა.

„პეტერბურგში. მის იმპერატორობით უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს. თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის დიდი სახელმწიფოს განაპირზე ეს მეორე საუკუნეა ქართველი თ.-აზნაურობა მტკიცედ და თავგანწირულად ემსახურება რუსეთის სახელმწიფოს უმაღლეს ბრძანებელს.

ეხლაც, დიდი განსაცდელის მოლოდინში ჩვენი შვილები ამაყნი და გაბედნიერებულნი მით, რომ უნდა ემსახურონ გაღმერთებულს მონარქსა და დიდს სამშობლოს, მიდიან მტერზე წმინდა ისტორიულის ანდერძით—სიკვდილი ან გამარჯვება!

უმოწყალოესო ხელმწიფევ! სიონის უძველეს ტაძარში თავმდაბლათ შევავედრეთ ყოვლად ძლიერს ღმერთს თქვენი თავი და ვსთხოვეთ გამარჯვება რუსეთის ძლიერ ჯარისთვის. ქართველი თავ.-აზნაურობა თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ტახტის წინაშე გიცხადებთ უსაზღვრო ერთგულებას და სიყვარულის გრძნობებს.

უკვდავი სახელის შარავანდედით შემოსოს უფალმა რუსეთის გვირგვინოსანი წინამძღოლი“.

ხელმწიფე იმპერატორის პასუხი.

თავადმა კ. აფხაზმა 27 ივლის ხელმწიფე იმპერატორისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო.

„გულითადათ ვმადლობ ერთგულ ქართველ თავად-აზნაურობას, რომ მზადაა მზგავსად მამებისა და წინაპრებისა სისხლი დაღვაროს ჩვენი, დიდი სამშობლოს სახელისა და ღირსებისათვის. ნიკოლოზ“.

ომი და სომხობა.

კვირას, 27 ივლისს, სომხებმა თფილისში დიდი მანიფესტაცია გამართეს. დილით სომეხთა საეპარქიო უფროსმა ეპისკოპოსმა მესროპმა ვანქის ტაძარში სწირა სამღვდელოების თანამწირველობით. აქედან ბარიათინის ქუჩით ხალხი მეფის მოადგილის სასახლის წინ მოვიდა ეპისკოპოს მესროპის მეთაურობით. მანიფესტაციას მიეგება მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი, რომელსაც ეპისკოპოსმა მესროპმა სიტყვით მიმართა. სიტყვითვე უპასუხა მეფის მოადგილემ. ამის შემდეგ ხალხი მიეხვია გრაფს და ტანისამოსზე კოცნა დაუწყო. მანიფესტაცია გამართა ერევნის მოედანზე, სადაც გადახდილ იქმნა პარაკლისი, რათა რუსეთის მხედრობას ძლევა მიენიჭოს. ეპისკოპოსმა მესროპმა აქ ხალხს ვრცელის სიტყვით მიმართა. ამის შემდეგ მანიფესტაცია „ვაშა“-ს ძახილით დაიშალა.

ბელგია.

ბელგია ერთი პატარა სამეფოა, რომლის დასაბამი დაიდვა 1830 წელს ვენის კონგრესის მიერ. მისი საზღვრებია: ჩრდილოეთით-ჰოლანდია აღმოსავლეთით: ჰოლანდიის ლიმბურგი, რეინის პრუსია და დიდი საჰერცოგო ლიუქსემბურგისა; სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით საფრანგეთი და ჩრდილო-დასავლეთით ჩრდილოეთის ზღვა. ამ საზღვრებში მოქცეულია 29,455,6 კვადრატი კილომეტრი,*) რომელიც შეადგენს ბელგიის ტერიტორიას. ამ პატარა სივრცეზე მოსახლეობს 7,461,903 სული. ორთა-შუა რიცხვით, თითო კვადრატიულ ვერსტს უწევს 253 სული. ასე რომ, მოსახლეობის სიმრავლის მხრივ ბელგიას პირველი ადგილი უჭირავს ევროპის კონტინენზე. ბელგიის სამეფოს ქვეშევრდომები ორ სხვადასხვა მოდგმას ეკუთვნის, გერმანულსა და კელტოგალურსა. პირველ კატეგორიის მთავარ წარმომადგენლები ფლამანებია, და მეორისა ვალონები. ამის და მიხედვით, ბელგია ორი თანასწორი ენის თავისუფალი სარბიელია, ფლამანურისა და ფრანგულის. 1910 წლის აღწერით, პირველზე ლაპარაკობს 2,822,605 სული, მეორეზე 2,574,305. პრაკტიკულათ, პირველობა და ოფიციალ ენის ადგილი ფრანგულმა დაიჭირა, თუმცა კონსტიტუციით აღიარებულია მათი თანასწორუფლებიანობა. ენათა თანასწორ უფლებიანობის პრინციპი დიდიხნით მუშაობს იქ, სადაც დღევანდელი ბელგია. ასე მაგ. 1477 წელს ბრაბანტში (ერთი კუთხეა ბელგიისა) აღიარეს, მთავრობის აქტები ყოველ თითო კუთხის უმრავლესობის ენაზე უნდა იწერებოდესო. დროთა განმავლობაში, უპირატესობა თან და თან ფრანგული ენისკენ იხრებოდა. ეს უპირატესობა ფაქტიურათ ყველსაჩინოთ იქცა. კანონები და მეფის უკაზები ფრანგულათ გამოდის. თუმცა იგივე კანონები შემდეგ ცალკე კრებულად გამოსული, ფრანგულ ტექსტის გვერდით ფლამანურ თარგმანსაც შეიცავს.

სასამართლოში ამ ორ ენის ხმარება ასეა განაწილებული: სამოქალაქო დავის დროს სახმარი ენა მოდავე პირთა შეთანხმებით არის არჩეული.

სხვანაირათ არის საქმე, სისხლის სამართლის წინაშე. აქაც, საკასაციო სასჯავროში ფრანგული ენა სავალდებულოა. ხოლო პირველ მეორე ინსტანციაში ფლამანურ ენაზე საქმის წარმოება სავალდებულოთ არის მიჩენილი 1873 კანონის ძალით, თუ რომ თვით ბრალდებულმა არ განაცხადა სურვილი ფრანგულათ საქმის წარმოებისა. 1878 წლის ეს კანონი ვრცელდება შემდეგ პროვინციებზე: დასავლეთის და აღმოსავლეთის ფლანდრიაზე, ანვერპენზე და ლუვენის სასამართლო ოლქში.

ასე შედარებით, სკოლაშიაც დაცულია ენათა თანასწორ უფლებიანობის პრინციპი. სადა კი ფლამანებია დასახლებული, იქაურ გიმნაზიებში ფლამანური ენა სავალდებულოთ არის აღიარებული. (1883 წ. 15 ივნისის კანონი). მიუხედავათ კონსტიტუციონურ თანასწორ უფლებიანობისა, ცხოვრებამ და პრაკტიკამ, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, აშკარა უპირატესობა ფრანგულს მიანიჭა. ეს ფაკტი, დიდი აყალმაყალის წყაროთ გადაიქცა ამ უკანასკნელ წლებში და ენათა დაპირისპირების ნიადაგზე ერთობ მწვავე და დამაფიქრებელი შეტაკებები ხდებოდა ბელგიაში, ფლამანებსა და ვალონებ შორის, იქამდისაც კი მივიდენ ამ ორ წლის წინად რომ, ბელგიის ორად გაპობის მოთხოვნასაც კი არ დაერიდენ' ოღონდ ამით ფლამანურ ენას სრული ფაქტიური თვითარსებობა კი მოიპოვა.

ენაში ხომ ერის სული დგას, ენაში ხომ ერის წარსულიც შენახულია და მომავალი სახე ერისა ხომ ენაში უნდა გამოითქვას! და აბა რა გასაკვირია, ფლამანები მაშინაც ვერ შერიგებოდენ სამშობლო ენის ჩაჩრდილვას, როდესაც ეს უკანასკნელი ბუნებრივის ევოლიუციით იყო გამოწვეული, სრულიად ბელგიის ცხოვრების განვითარებით, და არა ადამიანის ბოროტის ჩარევით!

ენით სხვადასხვა ფლანდრია და ვალონია, სხვადასხვა კულტურით, ტემპერამენტით, სულის კვეთებით, ეს ორი სხვადასხვა დასაბამი, ერთი სახელმწიფოს ფარგალში მომწყვდეული, ჯერ ვერ შედუღებულან. თვითარსებობის პროცესში ბელგიას ჯერ ვერ მიუღწევია ეროვნულ მთლიანობამდე, ეროვნულ ერთსახეობამდე.

*) კილომეტრი ერთ ვერსზე ცოტა ნაკლებია.

საქართველოს ეგზარხოსის პიტირიმის ჩამოსვლა თფილისში.

27 ივლისს, დღის პირველ საათზე ბაქოს მატარებლით თფილისში ჩამოვიდა საქართველოს ეგზარხოსი, არხიეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა: მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პიტირიმი.

ეგზარხოსის დასახვედრად ნამესტნიკისაგან გაგზავნილი იყო ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი თავადი ა. ზ. ჭავჭავაძე.

სადგურიდან ეგზარხოსი სიონის ტაძარში გაემგზავრა, სადაც მას თფილისის მთელი სამღვდელოება შეხვდა. სიონის ტაძარში ეგზარხოსმა პარაკლისი გადაიხადა და სიტყვა წარმოსთქვა.

პარაკლისს დაესწრენ მთავრობის წარმომადგენელნი, გენერალიტეტი და სხვ.

გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თავადმა. კ. აფხაზმა შემდეგის სიტყვებით მიმართა ეგზარხოსს:

თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოებავ! ქართველ თავად-აზნაურობის სახელით სალამს უძღვნი თქვენს კეთილს მობრძანებას. სიხარულით ვეგებებით თქვენ მღვდელმთავრობის დასაწყის ჯვაროსან ივერიის ეკლესიაში.

კეთილი იყოს, მეუფევ, თქვენი მობრძანება ჩვენთან, ჟამს მომავალ ისტორიულ განცდისა. აქ, უძველეს ქალაქის ბჭესთან, თავად-აზნაურობა სთხოვს თქვენ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესებას რათა აკურთხოთ იგი ხელმწიფე იმპერატორის და ჩვენი სამშობლოს სამსახურისთვის“.

ქუთაისი.

ახალი ამბავი.

1 აგვისტოს ქალაქის გამგეობაში დაბარებულია იმ პირების დედები, ცოლები, მამები, შვილები და სხვა ახლობელი ნათესავები, რომელნიც მობილიზაციის ომში გაწვეული არიან. ქალაქის გამგეობამ უნდა გამოირკვიოს ასეთი ოჯახების შემადგენლობა და ნივთიერი მდგომარეობა. განზრახულია ასეთ ოჯახებს მიეცეთ შემწეობა და მფარველობა ომიანობის დროს.

✦ გაზეთ ,,ჩვენი აზრის'' მე-8 ნუმერს კონფისკაცია უყვეს.

✦ გუშინ საკრებულო ტაძარში, მისი იმპერატორობითი მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსი ნიკოლოზის ძის დაბადების დღესასწაულის გამო, წირვას დაესწრო ბ. ქუთაისის გუბერნატორი კამერგერი ლ. ნ. პოტულოვი ქუთ. ქალაქის თავი ი. მ. ჩიქოვანი თავად-აზნაურობა და სხვა ცნობილი პირები.

✦ დღეს, 31 ივლისს, ქუთაისის საზოგადო საკრებულოს საზაფხულო შენობაში, ივანოვის ქუჩაზე გაიმართება, საოჯახო საღამო, ლოტო და ცეკვა.

✦ როგორც სოფ. ლესადან (ოზურგეთის მაზრა) გვწერენ ყანები ხანგრძლივ წვიმებს ძალზე წაუხდენია. სხვა დროს თითო გლეხი 500 ფუთამდი სიმინდს ყიდდა წელს კიდო საყოფიც არ მოუვათო. ჩარჩ-ვაჭრებმა, სანოვაგის ფასი ძლიერ ასწიეს, საჭიროა ამ გარემოებას ადგილობრივმა პოლიციამ ყურადღება მიაქციოს.

✦ დღეს, 31 ივლისს, სახელმწიფო მიწათა და ქონებათა სამართველოში შესდგება საჯარო ვაჭრობა მოწამეთის აგარაკზე ხაზინის ადგილის ქვასატეხის ,,ზედა სატურიას'' იჯარათ გაცემისა. ქვასატეხი გაიცემა ორ ნაწილათ ცხრა ცხრა წლის ვადით. თითო ადგილი შეფასებულია 200 მანეთად. მოიჯარადრემ წინდაწინ უნდა წარადგინოს ამ ფულის ათი პროცენტი.

✦ 29 ივლისს მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწემ ორ-ორი კვირის ციხე მიუსაჯა გალანძღვისათვის, იუდაფი ჩხაიძესა და მინადორა ჭანიშვილის ქალს.

✦ პურის ფქვილის საწყობის პატრონი მიხეილ მოშიაშვილი აცხადებს, რომ ქუთაისში და მის რაიონში გავრცელებული ხმები, ვითომც პურის ფქვილი არ იშოვნებოდეს და თუ იშოვნება, ფასები ძლიერ მომატებული არისო, სიმართლეს მოკლებულია პურის ფქვილი ისევ ბევრი არის და ფასებიც ძველი აქვსო.

✦ დღეს მიხეილის ქუჩაზე სასტუმრო ,,როსტოვში'' შესდგება საჯარო ვაჭრობა გაიყიდება იაგორ ივ. ბალათურიას მოძრავი ქონება, რაც შეიცავს სასტუმროს მოწყობილებას და შეფასებულია 170 მანეთად.

✦ უკვე დაიბეჭდა და მოკლე ხანში ხელის მომწერლებს დაურიგდებათ, ადესის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა, სამეცნიერო კრებული „ცხოვრება და მეცნიერება''.

✦ მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწემ ცუდი პურის გამოცხობისათვის ას-ასი მანეთით დააჯარიმა, პავლე ძიძიგური, პავლე ჯალაგანია და ხუსეინ ჩინგი ხასან-ოღლი.

✦ რედაქციამ მიიღო წიგნაკები, თ. ა. მთავრიშვილისა და ამხანაგობის გამოცემა 1) ,,შაქარას ნაამბობი'' აღდგომა თუ გარეგნობა, სამსონ ყიფიანის მოთხრობა და 2) დასურათებული ლოცვანი პირ. დაწყ. შკოლებისათვის, შედგენილი მღვდ. პ. ცქიტიშვილის მიერ. წიგნაკები სუფთათ და კარგ ქაღალდე არის გამოცემული პირველი ღირს 3 კაპ. და მეორე, 3 შაურათ.

✦ კვირას, 20 ივლისს ს. ოფშკვითში (ქვემო იმერეთი), თავად რომან ერისთავის გამგეობით და დათიკო ჩარკვიანის მონაწილეობით, გაიმართა წარმოდგენა; წარმოადგინეს ალ. ყაზბეგის 3 მოქმედებიანი დრამა „არსენა", ი. გრიშაშვილის 1 მოქ. ვოდევილი „ტიმოთეს ლღევი" ამის შემდეგ გაიმართა საუკეთესო ლექსების კითხვა ბოლოს კი ცეკვა-თამაში.

ცოცხალი სურათები, რომელიც იყო ნაჩვენები განცხადებაში, არ გამართულა, რადგანაც წარმოდგენები მეტათ გაგრძელდა და ხალხი მოიღალა. ამ დიად საქმეში დაუღალავი ენერგია გამოიჩინა და დიდი ღვაწლი დაგვდვა სახლის პატრონმა ნიკოლოზ ლალიაშვილმა.

წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო რაც მომასწავებელია მათი გამოფხიზლებისა.

ნაცვლათ გაზეთ იმერეთის კანტორისა, გაზეთი იმერეთის ცალკე ნუმრები იყიდება ოცხელისა და მთავრიშვილის წიგ. მაღაზიაში.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ოსმალეთი.

გერმანიისა და ავსტრიის ელჩები წინადადებას აძლევენ ოსმალეთს, დაეთანხმოს ბულგარეთს და რაზმები გაგზავნოს მაკედონიაში. ელჩები ჰპირდებიან, რომ ბულგარეთი ოსმალეთის ჯარს ფრაკიაზე გაატარებს და რუმინიასაც შეაკავებსო. ამ წინადადების შესახებ ახალგაზდა ოსმალები ჯერ ვერაფერს გადაწყვეტილებას დაადგენ.

გენერალმა სანდერსმა განუცხადა პორტას, რომ გერმანიის მისია არავითარ შემთხვევაში არ დასტოვებს ოსმალეთის ჯარსო. რაც შეეხება ინგლისის საზღვაო მისიას, ადმირალმა ლიმპუსმა სთქვა, თუ ევროპაში სამხედრო მოქმედება დაიწყო, ოსმალეთიდან წავალთო.

პოლონეთში.

ვარშავიდან იტყობინებიან, რომ ქალაქს დიდი სიცოცხლე ეტყობა. ყველა მოუსვენრად მოელის ახალახალს ცნობებს. ყველაფერი დავიწყებულია, მხოლოდ ომი ასულდგმულებს ყველას.

პეტერბურგის სლავიანოფილების მოწოდების გამო პოლონეთის ერისადმი გაზეთი „კურიერ პორანი" სწერს: „როცა ეს მოწოდება მივიღეთ, თვალები გავახილეთ, აქეთ იქით მივიხედეთ და ვიკითხეთ—ნუთუ ჩვენ მოვგმართავენ?" გაზეთს უკვირს, თუ საიდან წარმოიშვა სლავიანთა ერთობის წყურვილი დღეს.

— —

ავსტრიის პოლონელ სოციალდემოკრატიის ცენტრალურმა ორგანომ „ნაპრძოდ"-მა მოწოდება გამოსცა პოლონელ საზოგადოების და პოლონელ მუშებისადმი. მოწოდების სიტყვით, ყველა პოლონელისათვის ცხადია, რომ მათ ერთადერთი მომაკვდინებელი მტერი ჰყავთ, რომლის შესახებ ყველა პოლონელი ერთსა და იმავეს ჰფიქრობს. როგორც სოციალდემოკრატები პრინციპიალური მტრები ვართ ყოველის ომისა და ოდნავად არ ვამცირებთ ომის საშინელს შედეგებს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოლონელს ერს ერთადერთი დაუძინებელი მტერი ჰყავს. საქმე გადაწყდა და პოლონელმა მუშამ უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა... „როგორც პოლონელები და როგორც სოციალდემოკრატები, ამბობს მოწოდება: ჩვენ გაბედულად და ღირსეულად აღვასრულებთ ბედის ბრძანებას".

— —

კრაკოვის ,,კურიერი'' სწერს: ,,პოლონელები სიხარულით შეხვდენ ომის გამოცხადებას, რადგან ეხლა გათავდება მუდამ გამოურკვეველი მდგომარეობა. ყველანი დამშვიდებით ელოდებიან ბედის გადაწყვეტას, რადგან სახელმწიფო მზადაა და ჩვენ სრულიად ვენდობით ძლიერს ჯარს. ჩვენი მონარქია, სადაც შეძლება მოგვეცა ეროვნული განვითარებისა, დარწმუნებული უნდა იყოს. რომ ყოველთვის შეუძლია დაგვენდოს. პოლონელის სიმამაცე, გაბედულობა და თავის განწირვა ეხლაც გამოჩნდება''.

პეტერბურგის გამაგრება.

პეტერბურგის გაზეთებში განცხადებაა დაბეჭდილი სამხედრო უწყებისა, რომელიც მუშებს იწვევს პეტერბურგის გარშემო თხრილებისა და სხვა სიმაგრეების გასაკეთებლად.

სენატის მოსკოვში გადატანა.

მოსკოვის გაზეთებს ცნობა მიუღიათ, რომ სენატი თავის კანცელარიითა და არქივით გადატანილი იქნება მოსკოვში.

გერმანიისა და ინგლისის ფლოტები.

გერმანიის და ინგლისის დრედნოუტების შეტაკებას მოელიან ლამანშის სრუტეში.

ბრძოლა შავზღვაზე.

ავსტრიისა და გერმანიის ფლოტებმა ბრძანება მიიღეს გავიდნენ დარდანელში და შეებრძოლონ შავზღვაზე რუსის ფლოტს.

ფინლიანდიაში.

ჰელსინგფორსიდან გადაასახლეს ორი გაზეთის რედაქტორები სამხედრო საიდუმლოს გამომჟღავნებისთვის.

ჟორესის მოკვლა.

იმ დროს, როცა ელისეის სასახლეში, პრეზიდენტის მეთაურობით, მინისტრთა საბჭოს კრება ქონდა გამართული და მის გადაწყვეტილებას გულის ფანცქალით მოელოდა მთელი ქვეყანა, აი ამ დროს მთელ პარიზში უცებ ხმა გავრცელდა: ჟორესი მოკლესო!

კრუასანის ყავახანაში სადაც ჟორესი მოკლეს, ჩვეულებრივათ ჟურნალისტები იკრიბებიან ხოლმე. ყავახანა მოთავსებულია მონმარტის იმ ნაწილში, სადაც სიცოცხლე მეტათ ფეთქს, სადაც პარიზის უმრავლეს გაზეთების სტამბები იმყოფება.

ჟორესი ხშირათ შედიოდა ამ ყავახანაში, თავის რედაქცია ,,ჰუმანიტეში'' გამგზავრების წინ ღამე სამუშაოთ. ამ ხანათ ის იჯდა თავის მეგობრებთან ჟანლონგენსა და რენოდელთან ერთად. ისინი ცხარეთ ბაასობდენ. უცებ ვიღაც ყმაწვილი, ქუჩიდან ყავახანაში შემოვიდა, შეაჩერდა ჟორესს და იმ წუთსავე გარეთ გავიდა. უცნობის გასვლისათანავე იგრიალა ფანჯრის მინებმა. ჟორესმა თავზე ხელი იტაცა და ცოცხალმკვდარი სავარძელში გადავარდა. მეგობრები და უცხო იქვე მდგომნი მაშინვე მიეშველენ დაჭრილს. ვიღაც ხალხიდან გარეთ გავარდა და მკვლელის დაჭერა მოასწრო. მკვლელი ახალგაზდა 29 წლის ყმაწვილია. მას ეძახიან რაულ ვიკენს. მამამისი—რეიმსის სამოქალაქო სასამართლოს სეკრეტარია.

მომხდარი ამბავი აცნობეს ,,ჰუმანიტეს'' რედაქციას, რომელიც ყავახანიდან რამოდენიმე ნაბიჯზეა დაშორებული. ჟორესის მიმდევრების და მეგობრების მწუხარებას საზღვარი არა აქვს; მათი მწუხარება აუწერელია. ბევრმა თავი ვერ შეიკავა და ცრემლის ნაკადული წამოსკდა. მათი ბელადი ჟორესი მოკლეს ისეთ ტრაღიკულ დროს, როცა მისი მძლავრი სიტყვა, მახვილი გონება, დიადი პოლიტიკური გამოცთილება და შეუპოვარი კალამი დიდ სამსახურს გაუწევდა გაჭირებაში ჩივარდნილ საფრანგეთს.

ეს საშინელი ამბავი, მსწრაფლ მოედო მთელ ქალაქს. გამოუშვეს საჩქაროთ ფურცლები. ,,უმანიტეს'' რედაქციის წინ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი და გამუდმებით გაიძახოდა: ,,ძირს მკვლელებიო'', თითქოს ინსტიქტით გრძნობდა ხალხი, რომ ჟორესის სიკვდილში ,,ბნელი ძალებია'' დამნაშავეო.

რატომ მოკლეს ჟორესი?

პარიზიდან „Веч. Вр." ატყობინებენ: ჟორესის მკვლელი რაულ ვილენი—როიალისტია. დაკითხვის დროს მან განაცხადა, რომ იგი საჭიროთ რაცხს, მოღალატეები დასაჯოს. ჟორესმა სამშობლოს უღალატა, რადგან იგი სამხედრო ბევარის სამწლიან ვადის წინააღმდეგ კამპანიას ეწეოდა. მე შევასრულე ჩემი ვალიო.

დედამისი საგიჟეთში იმყოფება. პუანკარემ ჟორესის მეუღლეს ბარათი მისწერა, რომელშიც იგი თანამწუხარებას გამოსთქვამს და სწერს: „ჟორესი ხშირათ ილაშქრებდა ჩემს წინააღმდეგ, მაგრამ მე მის ტალანტს და ხასიათს დიდ პატივს ვსცემდი. დღეს, როცა ნაციონალური შეერთება ყველაზე უფრო უსაჭიროესია, ჩემ მოვალეობათ ვრაცხ, გამოვსთქვა გრძნობა, რომლითაც მე მას ვეპყრობოდი''.

რა გავლენა მოახდინა ჟორესის მოკვლის ამბავმა ინგლისში.

ჟორესის მოკვლის ამბავმა ინგლისში საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. მთელი პრესა უძღვნის განსვენებულ ტრიბუნს ნეკროლოგებს და წერილებს, რომლითაც ახასიათებენ მას, როგორც მთელი მსოფლიოს დიად ორატორს, ჰენიალურ, პატიოსნებით აღსავსე საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეს და სოციალდემოკრატების ერთგულ ბელადს. ლიბერალური გაზეთი: ,,დეილი ნევი''-ს წერილში: ,,ევროპის დიდი უბედურება'' სწერს: ,,ჟორესის სიკვდილმა საშინელი ტკივილები გვაგრძნობინა ჩვენ. ეს უბედურება მთელი ევროპისაა. ჟორესი იყო მეტად მიმზიდველი პიროვნება, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უფრო მეტათ შესაძლებელი, დიდი ინდივიდუალური ძალა პროგრესისა და საერთაშორისო სიმართლისა და ჭეშმარიტებისა. როგორც მეცნიერმა და ფილოსოფოსმა, მან გამოიმუშავა მკვიდრი პოლიტიკური რწმენა. კონსერვატორიდან სოციალისტი გახდა. ხელოვანი კეთილშობილ სიტყვისა; ჟორესი იყო უდიდესი ორატორი არამც თუ მარტო საფრანგეთისა, არამედ მთელი მსოფლიოსი. ის არ იყო რიტორიკოსი. მისი სიტყვა მუდამ ბრწყინავდა გონების გამჭრიახობით, ღრმა ცოდნით, ვნებით და ცეცხლეული რწმენით. საეჭვოა, რომ დღეს რომელიმე ქვეყანაში მონახოთ საზოგადოებრივ კითხვების ცოდნით იმდენათ აღჭურვილი პიროვნება, როგორიც ჟორესი იყო. ის თავის დიდებულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობისათვის, ყოველგვარ დარგის ცოდნას იყენებდა. მისი ჰენია იმდენათვე მდიდარი და პრაქტიკული იყო, რამდენათ მდიდარი იყო თვით მისი იდეები. ის თავის თავის პრინციპიალობით, ერთგულებით, თავის მშვენიერ, წარმტაცსა და დიად იდეალებით ყველაზე მაღლა იდგა. იმ მომენტში, როცა საფრანგეთი კრიზისს განიცდიდა, ჟორესი იმწამსვე თანამოქალაქეებს მიეშველებოდა ხოლმე თავის დიადი გონებით და გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზას პოულობდა. დიდი იყო მისი პატრიოტიზმი. ის თავის ნათელ გონებით სჭვრეტდა მთელ მსოფლიოსა. ბევრს გებულობდა ევროპა მის კეთილშობილურ გავლენისაგან. დღევანდელ დღეს, როდესაც ჩვენ კრიზის განვიცდით, ჟორესის სიტყვა ჩვენთვის დაუფასებელია. და ყველა ეს წაგვერთვა ვიღაც სულელ ყმაწვილის წყალობით.

„ვესტმინსტერ გაზეთი" სწერს: „ჟორესი—პირველი მსხვერპლია იმ სამხედრო და ომის ციებ-ცხელებისა, რომელიც დღეს საფრანგეთში მძვინვარებს. თუგინდ არ გავადიდოთ რესპუბლიკისათვის ამ დაკარგვის მნიშვნელობა; განსვენებული დიდებული ორატორი იყო, არა მარტო საფრანგეთის პარლამენტში; მას იმოდენა დიდი გავლენა ქონდა მუშათა კლასზე. რამოდენიც საფრანგეთის სახელმწიფო ყველა მოღვაწეებს ერთად აღებულს არ ქონია. და შესამჩნევია, რომ ეს გავლენა მოიპოვა პოპულიარული იდეების ქადაგებით. მან ამხილა პანამის სკანდალი, იცავდა დრეიფუსს და ცხადლივ გამოდიოდა სამხედრო სამსახურის სამ წლიან ვადის კანონის წინააღმდეგ. უკანასკნელ ხანებში, მისი ხმა გრგვინავდა ევროპის მშვიდობიანობის და ცივილიზაციის დასაცავათ. იმ დროს, როცა სხვა სამხედრო ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი, იგი გუშაგათ უდგა მშვიდობიანობას. ჟორესმა თავისი თავი მსხვერპლათ მოუტანა ევროპის საუკეთესო ადამიანთა იდეალებსო".

ვინ არის დამნაშავე!?

ვინ იტყვის, ან ვის რა ეჭვი შეეპარება მასში. რომ სწავლა განათლება, როგორც კერძო პირისთვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის უდიდესი განძი არ იყოს, მით უმეტეს ამ უკანასკნელისათვის, თუ რომელიმეს გონებრივ განათლებასთან ერთად გულიც, ესე იგი ზნეობრივათაც განათლებული იქნება.

დღითი-დღე მატულობს სურვილი სწავლა-განათლების მიღებისა მშობლები ნატრულობენ სწავლულ შვილებს და საზოგადოება კი ნასწავლ ხალხს. მიზანი ამ სურვილისა, როგორც პირველის ისე მეორესაც ერთი და იგივეა. თუ პირველი ფიქრობს, რომ ბოლოს, როგორც თავის თავს აგრეთვე მეც გამომადგება, ამასვე ფიქრობს მეორეც და არიშურვებენ არავითარ საშუალებას მშობლებთან ერთად თავისი წვლილი შესწირონ და როგორმე შესძლონ და სწავლა-განათლება დაასრულებიონ.

რამდენი მშობლები დავალიანდენ, რამდენმა გაყიდეს მამულ-დედული და შეალიეს, თუ რამე გააჩდათ შვილების სწავლას. რამდენმა მშობლებმა თავი მათხოვრად გაიხადეს ფეხდაფეხ ჩამოიარეს და ოროლ კაპიკს აგროვებდენ „შვილებს ვასწავლით და შეგვეწიეთო" ამის წარმოდგენით გაბედულ-გათამამებული, რომ სწავლა-განათლებულ პირს ბევრი რამ სარგებლობის მოტანა შეუძლიათ თქვენთვისაცო.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, გვიცრუვდება იმედები ერთსაც და მეორესაც. სამაგიეროდ იმისა, რომ სარგებლობა მოგვიტანონ უმეტეს [illegible] მეტს არას ვხედავთ. არათუ საზოგადოება გაახსენდესთ, არამედ თვით მშობლებიკ არ ახსოვთ.

არ ახსოვსთ მათი ღვაწლი, შრომა და ამაგი, მათი სიტიტვლ-სიშიშვლე, მათი წყურვილ-შიმშილი და მარტოობა. ასე წარმოიდგინეთ, სახლშიაც არ კადრულობს, ამხანაგებს ვერ ვაჩვენებ, დამძრახავენო. შემდეგ ამისა რა გასაკვირალია, რომ მას საზოგადოება არ გაახსენდეს, მათი შრომა და ამაგი არ დაისწავლოს და თავის მოვალეობა პირნათლად შეასრულოს.

რომ ნათლად დავინახოთ რამდენათ პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობას, რომ სხვა პირები არ მოვიხსენიოთ იქიდანაც ჩანს, თუ გაიხსენებთ ყოფილ სტიპენდიატებს.

აბა გაიხსენეთ მათი მოვალეობა, გაიხსენეთ მათი დანაპირები იმ დროს, როდესაც მათთვის საჭირო ვიყავით, როდესაც წასვლას ეპირებოდენ, ან უკვე წასულიც ბრძანდებოდენ უმაღლეს სწავლის მისაღებათ. რანაირ თამამათ და გაბედულად გითვლიდენ, ან და მოდიოდენ, როგორც რომელიმე საზოგადო დაწესებულებაში, აგრეთვე კერძო პირებთან, მთელი სხეულით გელაპარაკებოდენ და გაგრძნობინებდენ; ხომ იცი ვინ ვარ? ხომ წარმოდგენილი გაქვს, თუ რისი შემძლებელი ვიქნები, თუმც შემაძლებინებიებ უმაღლეს სწავლა-განათლების დასრულებასო? და და მასთან ვალდებულიც ხარ, თუ შეგჭირს შენი კუთხის და სამშობლო ქვეყნისო.

ამათთან ერთად გაიხსენეთ სათვისტომოს კასა მისი სრულის მნიშვნელობით, გაიხსენეთ მათი მოვალეები, რომლებსაც რამდენიჯერმე პრესის საშუალებით კიდევაც დაემუქრენ მათი სახელების და გვარების გამომჟღავნებით, მაგრამ მათ წინააღმდეგ ვითომ ამნაირი ზომების მიღება, მათზე რაიმეს იმოქმედებდა ან და მოიმოქმედებს?—არ წარმოიდგინოთ! მათზე რაიმე მუქარამ ან კულტურულმა საშუალებამ გასჭრას, რაც მტკიცდება მათი უსირცხვილო სიჩუმით და ვალი კი ისე ვალად რჩება, მიუხედავათ იმისა, რომ ყველა მათგანს, უსათუოდ საპატიო ადგილი ეკავებათ და ფუფუნებაში ცხოვრობენ.

როცა ვგებულობთ ან და უკვირდებით მათ მოქმედებას გვიკვირს და განცვიფრებაში მოვდივართ, ვითომ მათგან ამას არ მოველოდებით, მაგრამ განსაცვიფრებელი და გასაკვირალი აქ არა არის რა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო და ხდება კიდეც, რადგან თვითონ ჩვენ ვართ მათთან ერთად დანაშაული როგორც პირველი, აგრეთვე მეორეც.

რასაკვირველია, პირველდაწყებითი სკოლას ბევრი რამ შეუძლია და დიდი მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ რა ქნას სკოლამ და მასწავლებელმა, თუ მას სკოლის გარეთ, ბავშის ზნეობრივ აღზრდაში ხელს არ უწყობენ და ეხმარებიან.

რა უნდა მოვთხოვოთ მათ, რომლებისთვისაც არა მიგვიცია რა. მესმის, რომ მიგვეცა მათთვის გონებრივ საზრდოსთან ზნეობრივი საზრდო, მშობლებს აკვნიდანვე სანამ სწავლას დავაწყებიებდით და შემდეგ კი მშობლებთან ერთად საზოგადოებასაც ვინემ სიმწიფის მოწმობას აიღებდენ, მაშინ მესმის განცვიფრება, საყვედური, ტირილი და გოდება იმის შესახებ, რომ მოვტყუვდით ჩვენი არა შეჭირსთ რა და გადაგვარების გზაზე ადგიანო.

ნუთუ არ ვიცით და არც არის საჭირო ვიცოდეთ, რომ პატარაობიდანვე აღზდას ბავშისას დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახში და იმ წრეში, სადაც იზრდება ის. სიპატარავიდანვე ნახულ და შეძენილ სიცუდეს ვერას დროს ვერ მოიშლის, რა გინდ უმაღლესი სწავლა განათლება მიიღოს და რანაირ საზოგადოებაშიაც უნდა მოხდეს შემდეგ მაინც.

ის განათლდა და განვითარდა გონებრივად, რითაც წერით თუ სიტყვიერად ლამაზათ და მოხდენილათ ბრძა-

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დიდი,
მიღებულია და იყიდება
პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაკო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუქლები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ“ въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ“ недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума“, считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ“ принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დიაკო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა. ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვასრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის ,,ვიკანდერ და ლარსონის'' სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ნებს, მაგრამ როდესაც ეს ლამაზი სიტყვები ლამაზივე მოქმედებას თხოულობს და ამ სიტყვების აღმასრულებელ პირს დაეძებს, რომ სისრულეში მოიყვანოს მოქმედებით ვეღარ ნახულობს, აღარ ჩანს დაიმალება ვითომ მას არც არა უთქვამს რა და რომ ეთქვა მაინც, დროც არ აქვს არ ცალია. არ ეცლება რასაკვირველია რადგან მას გული გაუნათლებელი, ცივი და გამოფიტებული აქვს ზნეობრივ უსაზდოებისა გამო. მხოლოდ მას თავის თავი და თავის ჯიბე ახსოვს, თავის „მე“-ს ადიდებს და აფასებს და არა სხვისას.

რომ დავანებოთ თავი იმ პირებს, რომლებსაც ვაჭრობისათვის მოუკიდნიათ ხელი დღე და ღამ, შინ თუ გარეთ სულ ის ახსოვსთ და მას ლაპარაკობენ, თუ როგორ მოახერხონ, რა მახე დაავონ და რა ნაირი ბადე მოუსვან, რომ ბლომათ თევზი ამოაყოლონ, რითაც თავის თავიც ასაზდოვონ, შვილებსაც უპატრონონ, სწავლა განათლება მიაღებინონ და შემდეგ მათ შვილებსაც მხოლოდ თავის თავი ახსოვდესთ და არა სხვა. ამ ნაირ პირების შვილებისგან რას უნდა მოველოდეთ, მაგრამ საქმე ის არის და სამწუხარო, რომლებისგანაც მოველოდებით და მათგანაც მოტყუებული ვრჩებით.

გადაავლეთ თვალი და დაუკვირდით ზოგიერთ განათლებულ პირების მატერიალური მხრით შეძლებას და ადვილად მიხვდებით, თუ რა პირობებში შეიძლება შეიძინოს ერთმა ადამიანმა ამდენი ქონება, არა თუ მოკლე ხნის განმავლობაში, არამედ თუ გინდ ასი და ორასი წელიწადიც იცოცხლოს მაინც.

რა რიგად უნდა შესტკივოდეს გული ვინმეზე ამ ნაირ პირებს. რანაირი სულიერი საზდო უნდა მიიღონ მათგან მათმა შვილებმა და როგორ გულ შემატკივრობას უნდა მოველოდეთ მათ აღზდილ შვილებისაგან, რომლებიც ორი საათის განმავლობაში გასამრჯელოდ 300—400 მანეთს გახდევინებს (თუ გინდ საქმის გაცნობას და მეცადინობას ორ-სამ დღეს მოუნდეს მაინც).

ან იმ პირებმა, როგორი სულიერი საზდო უნდა მისცენ თავიანთ შვილებს, რომლებიც პრაქტიკის გულისთვის, გატყობს თუ არა, რა სენით ხარ შეპყრობილი, რა საშუალება და რა წამალი მიუდგება ამ შენ სენს და ის კი გამორკვეულიც აქვს და კარგადაც ესმის, თუ რა შედეგი მოყვება მის ამ ნაირ მოქმედებას, მაგრამ მაინც არ ნაღვლობს სიმართლეს არ გელაპარაკება და სხვასთან არ გიშვებს შენ კი თუ გინდ მეორე დღესვე სულიც ამოგხვლია. ამისთანა პირების აღზრდილ შვილებისაგან რას უნდა მოველოდეთ, თუ მას არა, რასაც დღეს ვხედავთ.

პატარა ტრიალა ბავში, რომელიც თვალ წარბში მისჩერებია, როგორც მშობლებს, აგრეთვე უფროსებს და დაინტერესებულია ნათქვამ ნამოქმედარზე, რაზედაც დიდი არას დროს არ დაინტერესდება ისე, როგორც პატარა, რასაკვირველია ეს უსუსური პატარა ძვალ-რბილ გაუმაგრებელი ისაზდოებს უფროსებისგან ნათქვამ ნამოქმედარით, შეისისლხორცებს და გაუჯდება ძვალსა და რბილში, რომლიდგანაც ვერავითარი სწავლა განათლება, ვერც ჩვენი საყვედური ტირილი და გოდება მის დავანტყოფებულ და დასნეულებულ გული ვერ განკურნავს, თუ სხვა საშუალებას არ მივმართეთ. სახელდობ მას, რომ თუ ჩვენ საზოგადოების შევვქირს და გამბედაობა არ გვღალატობს, როდესაც ვნიშნავთ რომელიმეს გულ შეუტკივნობას და გადაგვარების გზაზე დადგომას, თუ გინდ ჩვენი ღვიძლი ძმა ან მამა, რომ იყოს მაინც არ უნდა მოვერიდოთ და მოვეხათროთ. დავკარგოთ მასთან ყოველივე კავშირი, ვამცნოთ საზოგადოებას მისი „ზნეობრივი“ მხარე. მოვიხსენიოთ ზიზღით და კრულვით თუ ჩვენ თვითონ არ ვემგზავსებით მას და არც გვსურს დავემგზავსოთ, როგორც ის თვით მოქმედი პირი, აგრეთვე მისი მშობლებიც მოვიხსენიოთ იმ შვილთან ერთად მკვდრებიც რომ იყვნენ მაინც და სამარეში განისვენებდენ, ამისთანა შვილის აღზდისთვის, როგორც უვარგისი მაგალითის მაჩვენებელი.

ამ ნაირი მოქმედებით სრული დარწმუნებული ვარ, როგორც დღევანდელი პატარა ბავშების მშობლები, აგრეთვე მომავლისაც გაითვალისწინებენ თუ ვისთან აქვსთ მათ საქმე, რა მოვალეობა აწევსთ მათ კისერზე და რა მოელოდება საზოგადოებისგან თუ მან პირ ნათლად არ შეასრულა თავის მოვალეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება არ დაინდობს მას, სამარეშიაც კი მოიხსენიებენ შესაფერისად, რითაც შეარყევენ მის ძვლებს და საფლავს.

დროებით ქუთათური.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.
წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა
იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ:
არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების კრებული
პირველ დაწყებითი შკოლებისათვის, შედგენილი ქუთაისის სააზნაურო შკოლის მასწავლებელთა მიერ.
კრებული დასურათებულია და ღირს 7 შაურად.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის აბანო.
რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.
ზემოხსენებული კურსების აბანო იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.
პატივისცემით გ. მ. არჯავანიძე.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების
ზუგდიდის განყოფილება
იწვევს ზუგდიდის პირველდაწყებითი სკოლისათვის მასწავლებელს, რომლისათვის სავალდებულოა ქართული სიმღერა-გალობის ცოდნა. ჯამაგირი ექნება წელიწადში 400 მან. მასთან ბინა, განათება, გათბობა და მოსამსახურე. თხოვნა უნდა გამოიგზავნოს დ. ზუგდიდში გამგეობის სახელზე.

მუშაობს
ხრესილის მადნეული წყლის
ძმ. ქორქოლაძეების
სამკურნალო აბანო.
აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარეიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“** ხრესილში სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის ,,სტანცია სერნია ვოდის''.

განცხადება.
ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი
ამით აცხადებს, რომ
1. თავისუფალი ადგილები არის ყველა კლასში, 2. თხოვნები და საჭირო მოწმობები მიიღება 20 აგვისტომდი. 3. გამეორებითი და მისაღები გამოცდები დაიწყება 21 აგვისტოდან.
მერვე კლასში შესვლის მსურველმა თხოვნებთან ერთად უნდა წარმოადგინონ ნახევარი წლის გადასახადი 57 მან. 50 კაპ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭო არ განიხილავს მათ თხოვნებს. თხოვნებთან ერთად უეჭველათ უნდა იქნას წარმოდგენილი უწმ. სინოდის კანტორის მეტრიკული მოწმობა და არა ამოწერილობა.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები

შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილობით შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

შექსპირი ქართულად!
გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.
მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ
შექსპირის
რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოსი კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს - -1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.
წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

ქუთაისში.
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა
კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.
კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.

სტამბა „ძმობა„ პუშკინის ქუჩა სახლი, გოკიელოვის.